- ბ) აპკისებრი
- გ) ღრუბლოვანი
- დ) მღვიმოვანი

346) მამაკაცის შარდსადენის რომელი ნაწილი შეიცავს შარდსადენის ლაკუნებს შარდსადენის ჯირკვლების სადინრებისთვის?

- ა) წინამდებარე
- ბ) აპკისებრი
- *გ) ღრუბლოვანი
- დ) მღვიმოვანი

347) რამდენი გაგანიერება აქვს მამაკაცის შარდსადენს?

- ა) 1
- ბ) 2
- *გ) 3
- დ) 4

348) მამაკაცის შარდსადენის წინამდებარე ნაწილის ლორწოვანზე არ გვხვდება:

- ა) colliculus seminalis
- ბ) sinus prostaticus
- გ) utriculus masculina
- *დ) crista uretericus

349) ასო არ შეიცავს:

- ა) ასოს თავის ყელს
- ბ) თავის გვირგვინს
- გ) წყვილ მღვიმოვან სხეულს
- *დ) წყვილ ღრუბლისებრ სხეულს

350) ასოზე არ განირჩევა:

- ა) ზურგი
- ბ) ჩუჩის ლაგამი
- გ) ურეთრული ზედაპირი

*დ) პროსტატული ზედაპირი

351) საკვერცხეზე არ არჩევენ:

- *ა) საშოს ბოლოს
- ბ) საშვილოსნოს ბოლოს
- გ) ლატერალურ ზედაპირს
- დ) მედიალურ ზედაპირს

352) საკვერცხის რომელ ნაწილს უმაგრდება საკვერცხის საკიდი იოგი?

- *ა) ლულისკენა ბოლოს
- ბ) საშვილოსნოს ბოლოს
- გ) თავისუფალ კიდეს
- დ) ჯორჯლისეულ კიდეს

353) საკვერცხის რომელ ნაწილს უმაგრდება საკვერცხის საკუთარი იოგი?

- ა) ლულისკენა ბოლოს
- *ბ) საშვილოსნოს ბოლოს
- გ) თავისუფალ კიდეს
- დ) ჯორჯლისეულ კიდეს

354) საშვილოსნოს რომელ გარსზე გვხვდება პალმისებრი ნაოჭები?

- *ა) ენდომეტრიუმზე
- ბ) მიომეტრიუმზე
- გ) პარამეტრიუმზე
- დ) პერიმეტრიუმზე

355) საშვილოსნოს რომელ ნაწილს ფარავს პარამეტრიუმი?

- *ა) საშვილოსნოს კიდეებს
- ბ) ნაწლავის ზედაპირს
- გ) საშვილოსნოს ფუძეს
- დ) ბუშტის ზედაპირს

356) საშვილოსნოს ფიქსაციაში მონაწილეობს:

- *ა) განიერი იოგი
- ბ) საკიდი იოგი
- გ) საკუთარი იოგი
- დ) ყალბა იოგი

357) საშვილოსნოს ლულას არ გააჩნია:

- ა) ფოჩები
- ბ) საშვილოსნოსკენა ხვრელი
- გ) მუცლისკენა ხვრელი
- *დ) საკვერცხის ნაწილი

358) საშვილოსნოს ლულის რომელ ნაწილში ხდება განაყოფიერება?

- ა) ძაბრის ნაწილში
- ბ) ყელის ნაწილში
- გ) საშვილოსნოს ნაწილში
- *დ) ამპულურ ნაწილში

359) საშოს ლორწოვანზე არ გვხვდება:

- ა) საშოს ნაოჭები
- *ბ) პალმისებრი ნაოჭები
- გ) ნაოჭთა სვეტები
- დ) საშარდე ქიმი

360) ქალის გარეთა სასქესო ორგანოებს არ მიეკუთვნება:

- ა) დიდი სასირცხო ბაგეები
- ბ) მცირე სასირცხო ბაგეები
- გ) კლიტორი
- *დ) საშო

361) ენდოკრინულ ჯირკვლების შესახებ არ არის მართებული:

- *ა) გააჩნიათ სადინრები
- ბ) გამოიმუშავებენ ჰორმონებს

გ) იყოფიან 3 ჯგუფად და 5 ქვეჯგუფად
დ) ჰორმონები გადადიან უშუალოდ სისხლში

362) ბრანქიოგენური ჯგუფის ჯირკვალი არ არის:

- ა) თიმუსი
- ბ) ფარისებრი
- გ) ფარისებრახლო
- *დ) ჰიპოფიზი

363) ენტოდერმული ფურცლიდან არ ვითარდება შემდეგი ჯირკვალი:

- ა) თიმუსი
- ბ) ფარისებრი
- გ) ფარისებრახლო
- *დ) ჰიპოფიზი

364) მეზოდერმული წარმოშობის არ არის:

- ა) თირკმლის ენდოკრინული უჯრედები
- ბ) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი
- გ) სასქესო ჯირკვლების ენდოკრინული უჯრედები
- *დ) თირკმელზედა ჯირკვლის ქრომაფინული უჯრედები

365) ექტოდერმული წარმოშობის ჯირკვალი არ არის:

- ა) ჰიპოფიზი
- ბ) ეპიფიზი
- გ) ქრომაფინული სხეულაკები
- *დ) პანკრეასის კუნძულები

366) რომელი არ არის ენდოკრინული სისტემის ცენტრალური ორგანო:

- ა) ჰიპოთალამუსი
- ბ) ჰიპოფიზი
- გ) ეპიფიზი
- *დ) ფარისებრი ჯირკვალი

367) ენდოკრინული სისტემის პერიფერიული ორგანო არ არის:

- *ა) ეპიფიზი
- ბ) ფარისებრი ჯირკვალი
- გ) ფარისებრახლო ჯირკვალი
- დ) თირკმელზედა ჯირკვალი

- 368) ადენოჰიპოფიზზე დამოკიდებული არ არის:
- ა) თირკმელზედას ქერქი
 - ბ) გონადები
 - გ) ფარისებრი ჯირკვალი
 - *დ) ფარისებრახლო ჯირკვალი
- 369) ჰიპოთალამუსის რომელ ბირთვში სინთეზდება ოქსიტოცინი?
- *ა) პარავენტრიკულურში
 - ბ) სუპრაოპტიკურში
 - გ) ინფუნდიბულარულში
 - დ) ვენტრომედიალურში
- 370) ჰიპოთალამუსის რომელ ბირთვში სინთეზდება ვაზოპრესინი?
- ა) პარავენტრიკულირში
 - *ბ) სუპრაოპტიკურში
 - გ) რკალოვანში
 - დ) ვენტრომედიალურში
- 371) რომელ ჰორმონს არ გამოიმუშავებს ადენოჰიპოფიზი?
- ა) თირეოტროპულს
 - ბ) სომატოტროპულს
 - გ) ადრენოკორტიკოტროპულს
 - *დ) პარათირეოტროპულს
- 372) შუა ტვინის სახურავის ზედა გორაკებს შორის მდებარეობს:
- *ა) ეპიფიზი
 - ბ) ჰიპოფიზი
 - გ) ჰიპოთალამუსი
 - დ) თალამუსი
- 373) ეპიფიზში სინთეზდება:
- ა) თიროქსინი
 - ბ) ვაზოპრესინი
 - *გ) მელატონინი
 - დ) ოქსიტოცინი
- 374) ფარისებრი ჯირკვალი მედიალურად ეხება:
- *ა) საყლაპავ მილს
 - ბ) ცთომილ ნერვს

- გ) საერთო საძილე არტერიას
- დ) შიგა საუღლე ვენას

375) პერიტონეუმით დაფარვის თვალსაზრისით როგორი ორგანო არის თირკმელზედა ჯირკვალი?

- ა) ინტრაპერიტონეული
- ბ) მეზოპერიტონეული
- გ) სუპრაპერიტონეული
- *დ) რეტროპერიტონეული

376) რომელ ზონას არ არჩევენ თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში?

- ა) ბაგირაკოვანს
- ბ) ბადისებრს
- გ) გორგლოვანს
- *დ) ღრუბლისებრი

377) თირკმელზედა ჯირკვლის რომელი ნაწილი გამოიმუშავებს გლუკოკორტიკოიდებს?

- ა) გორგლოვანი ზონა
- *ბ) ბაგირაკოვანი ზონა
- გ) ბადისებრი ზონა
- დ) ტვინოვანი შრე

378) რომელი მიეკუთვნება კონტაქტურ ანალიზატორს?

- ა) სმენის
- *ბ) გემოვნების
- გ) ყნოსვის
- დ) მხედველობის

379) რომელ ღერძს არ არჩევენ თვალის კაკალზე?

- ა) გარეთას
- ბ) მხედველობის
- *გ) ჰორიზონტალურს

დ) შიგნითას

380) თვალის კაკლის გარეთა გარსია:

- *ა) ფიბროზული გარსი
- ბ) ფერადი გარსი
- გ) სისხლძარღვოვანი გარსი
- დ) ბადურა გარსი

381) თვალის კაკლის შუა გარსს წარმოადგენს:

- ა) ფიბროზული გარსი
- ბ) რქოვანა გარსი
- *გ) სისხლძარღვოვანი გარსი
- დ) ბადურა გარსი

382) თვალის კაკლის შიგნითა გარსია:

- ა) ფიბროზული გარსი
- *ბ) ბადურა გარსი
- გ) რქოვანა გარსი
- დ) სისხლძარღვოვანი გარსი

383) თვალის კაკლის ფიბროზული გარსის ფუნქციას არ წარმოადგენს:

- ა) თვალის კაკლის დაცვა
- ბ) სინათლის გარდატეხაში მონაწილეობა
- *გ) თვალის კაკლის კვება
- დ) თვალის კაკლის მოძრაობა

384) თვალის კაკლის გარეთა გარსის შესახებ მართებული არ არის:

- ა) მისი ნაწილებია რქოვანა და სკლერა
- ბ) რქოვანა არ შეიცავს სისხლძარღვებს
- გ) სკლერას აქვს ხვრელი მხედველობის ნერვისთვის
- *დ) სკლერას რქოვანასთან შედარებით მეტი შრე აქვს

385) თვალის კაკლის სისხლძარღვოვანი გარსის ნაწილი არ არის:

- ა) ფერადი გარსი
- ბ) საკუთრივ სისხლძარღვოვანი გარსი
- გ) წამწამოვანი სხეული

*დ) რქოვანა გარსი

386) რომელი გარსისგან მიჯნავს თვალის კაკლის საკუთრივ სისხლძარღვოვან გარსს პერიქოროიდული სივრცე?

- ა) ბადურასგან
- ბ) რქოვანასგან
- *გ) სკლერისგან
- დ) ირისისგან

387) წამწამოვანი სხეულის შემადგენლობაში არ გვხვდება:

- ა) წამწამოვანი რგოლი
- ბ) წამწამოვანი გვირგვინი
- *გ) წამწამოვანი სინუსი
- დ) წამწამოვანი მორჩი

388) წამწამოვანი სხეულის რომელი ნაწილი არეგულირებს ბროლის სიმრუდის რადიუსს?

- *ა) წამწამოვანი კუნთი
- ბ) წამწამოვანი ბაკი
- გ) წამწამოვანი მორჩი
- დ) წამწამოვანი რგოლი

389) ფერადი გარსში არ გვხვდება:

- ა) გუგა
- ბ) გუგის შემვიწროვებელი კუნთი
- გ) გუგის გამგანიერებელი კუნთი
- *დ) დაკბილული ნაპირი

390) ბადურას რომელ ნაწილში გვხვდება კოლბები და ჩხირები?

- *ა) ოპტიკურ ნაწილში
- ბ) ფერადი გარსის ნაწილში
- გ) წამწამოვან ნაწილში
- დ) დაკბილულ ნაწილში

391) რომელია ბადურას მხედველობის ყველაზე აქტიური უბანი?

- *ა) ყვითელი ხალი
- ბ) დაკბილული ნაპირი
- გ) ბრმა ხალი
- დ) წამწამოვანი ნაწილი

392) ბადურას რომელი ნაწილი არ შეიცავს კოლბებსა და ჩხირებს?

- *ა) ბრმა ხალი
- ბ) ყვითელი ხალი
- გ) ოპტიკური ნაწილი
- დ) ცენტრალური ჩაღრმავება

393) თვალის წინა კამერა უკნიდან მოსაზღვრულია:

- *ა) ბროლით
- ბ) რქოვანათი
- გ) სკლერით
- დ) ბადურათი

394) თვალის წინა კამერა წინიდან მოსაზღვრულია:

- ა) ბროლით
- *ბ) რქოვანათი
- გ) სკლერით
- დ) ბადურათი

395) ბროლის ნაწილი არ არის:

- ა) წინა ზედაპირი
- ბ) ბირთვი
- გ) სარტყლის ბოჭკოები
- *დ) წამწამოვანი გვირგვინი

396) თვალის წინა და უკანა კამერებს ავსებს:

- ა) მინისებრი სხეული
- ბ) სისხლი
- *გ) ნამი
- დ) ბროლი

397) თვალის წინა კამერაში გვხვდება შემდეგი კუთხე:

- *ა) ფერად გარს-რქოვანას
- ბ) სკლერა-რქოვანას

- გ) ბროლ-რქოვანას
- დ) ბადურა-რქოვანას

398) რომელი კუნთი არ გააჩნია თვალს?

- *ა) გარეთა ირიბი
- ბ) ზემო სწორი
- გ) ქვემო სწორი
- დ) ქვემო ირიბი

399) თვალის რომელ კუნთს აქვს საკუთარი ჭალი?

- *ა) ზემო ირიბს
- ბ) ქვემო ირიბს
- გ) გარეთა სწორს
- დ) შიგნითა სწორს

400) სად იხსნება ცხვირ-ცრემლის არხი?

- ა) ცხვირის ზედა გასავალში
- ბ) ცხვირის შუა გასავალში
- გ) ცხვირის საერთო გასავალში
- *დ) ცხვირის ქვედა გასავალში

401) გარეთა ყურს მიეკუთვნება:

- *ა) ყურის ნიჟარა
- ბ) დაფის ღრუ
- გ) სასმენი ძვლები
- დ) ევსტაქის მილი

402) გარეთა სასმენი მილი შიგნიდან მოისაზღვრება:

- ა) სასმენი ძვლებით
- *ბ) დაფის აპკით
- გ) ყურის ნიჟარით
- დ) ოვალური სარკმლით

403) დაფის ღრუს ლატერალურ კედელს ქმნის:

- *ა) დაფის აპკი
- ბ) დაფის სარქველი
- გ) კარიბჭის სარკმელი
- დ) ლოკოკინას სარკმელი

404) დაფის ღრუს მედიალურ კედელზე არ გვხვდება:

- ა) კონცხი
- ბ) კარიბჭის სარკმელი
- გ) ლოკოკინას სარკმელი
- *დ) დაფის სარქველი

405) დაფის ღრუს წინა კედელი არის:

- *ა) paries caroticus
- ბ) paries jugularis
- გ) paries labyrinthicus
- დ) paries membranacea

406) კარიბჭის სარკმელს უკავშირდება:

- ა) ჩაქუჩი ტარი
- ბ) გრდემლი
- *გ) უზანგი ფუძე
- დ) უზანგის ფეხი

407) სასმენი ლულა იხსნება:

- *ა) ცხვირ-ხახაში
- ბ) ხორხ-ხახაში
- გ) პირის ღრუმში
- დ) პირ-ხახაში

408) რომელ ნახევარკალოვან არხს არ არჩევენ შიგნითა ყურში?

- ა) წინას
- ბ) უკანას
- *გ) შიგნითას
- დ) გარეთას

409) შიგნითა ყურის ლოკოკინას ნაწილი არ არის:

- ა) კარიბჭის ჯიბე
- ბ) ჰელიკოტრემა
- გ) სპირალური ფირფიტა

*დ) ელიფსური ჯიბე

410) შიგნითა ყურის კარიბჭის ნაწილი არ არის:

- ა) სფერული ჯიბე
- ბ) კარიბჭის ქედი
- გ) ელიფსური ჯიბე
- *დ) დაფის ჯიბე

411) რომელი სადინარი არ გვხვდება შიგნითა ყურის აპკისებრ ლაბირინთში?

- ა) შემაერთებელი
- ბ) ენდოლიმფის
- გ) ტიკ-პარკუჭის
- *დ) დაფ-პარკუჭის

412) ფრჩხილის ნაწილი არ არის:

- ა) სხეული
- ბ) ფესვი
- გ) მორგვი
- *დ) ყელი

413) პარკუჭთაშუა წინა და უკანა ღარები ერთმანეთს უკავშირდებიან:

- *ა) გულის მწვერვალის მიდამოში incisura apicis cordis საშუალებით
- ბ) გულის ფუძის მიდამოში vortex cordis საშუალებით
- გ) გულის მწვერვალის მიდამოში vortex cordis საშუალებით
- დ) გულის ფუძის მიდამოში incisura basis cordis საშუალებით

414) მარჯვენა წინაგულის რომელ კედელზე გვხვდება mm. pectinati?

- *ა) paries anterior
- ბ) paries posterior
- გ) paries medialis
- დ) paries inferior

415) გულის რომელი საკნის შემადგენლობაში გვხვდება conus arteriosus?

- ა) atrium sinistrum
- ბ) atrium dextrum
- *გ) ventriculus dexter
- დ) ventriculus sinister

416) Valva trunci pulmonalis მოიცავს ყველა ნახევარმთვარისებრ აფრას, გარდა ერთისა:

- ა) valvula semilunaris sinistra
- ბ) valvula semilunaris dextra
- *გ) valvula semilunaris posterior
- დ) valvula semilunaris anterior

417) გულის რომელი მიდამოს მფარავი ენდოკარდიუმი გამოირჩევა ყველაზე მეტი სისქით?

- *ა) წინაგულების
- ბ) პარკუჭების
- გ) დვრილისებრი კუნთების
- დ) სარქველების

418) მარჯვენა გვირგვინოვანი არტერია კვებავს გულის კედლების შემდეგ უბნებს, გარდა ერთისა:

- ა) მარჯვენა წინაგულის ყური
- ბ) მარჯვენა პარკუჭის უკანა კედელი
- გ) მარცხენა პარკუჭის უკანა დვრილისებრი კუნთი
- *დ) პარკუჭთაშუა ძგიდის კუნთოვანი ნაწილი

419) მარცხენა გვირგვინოვანი არტერიის ტოტი არ არის:

- ა) ramus interventricularis anterior

- ბ) ramus diagonalis
- გ) ramus circumflexus
- *დ) ramus interventricularis posterior

420) გვირგვინოვანი სინუსის რომელი ვენა მდებარეობს პარაკუქთაშუა უკანა ღარში?

- ა) v. cordis magna
- ბ) v. posterior ventriculi sinistri
- *გ) v. cordis media
- დ) v. oblique atria sinistri

421) ფილტვის მარჯვენა არტერიას გამოეყოფა ყველა ტოტი, გარდა ერთისა:

- *ა) r. lingualis superior
- ბ) r. apicalis lobi inferioris
- გ) r. basalis posterior
- დ) r. basalis anterior

422) რომელი მალის დონეზე განიკდის აორტა ბიფურკაციას?

- ა) C4
- ბ) Th4
- *გ) L4
- დ) S4

423) A. thyroidea superior კვებავს ყველა ჩამოთვლილს, გარდა ერთისა:

- ა) ხორხის კუნთებს
- ბ) ბეჭდ-ფარისებრ კუნთს
- გ) მკერდ-ლავიწ-დვრილისებრ კუნთს
- *დ) მკერდ-ფარისებრ კუნთს

424) გარეთა საძილე არტერიიდან გამოსულ რომელ არტერიას გამოეყოფა ინისზედა ტოტი?

- ა) ფარისებრ ზემო არტერიას
- *ბ) ენის არტერიას
- გ) სახის არტერიას

დ) ზედა ყბის არტერიას

425) სახის არტერიის ტოტი არ არის:

*ა) a. palatine descendens

ბ) a. submentalis

გ) a. labialis superior et inferior

დ) a. angularis

426) რომელი ტოტი არ გამოეყოფა კეფის არტერიას?

ა) r. mastoideus

ბ) r. auricularis

*გ) r. tympanica inferior

დ) r. meningeus

427) ხახის ასწვრივი არტერიის ტოტი არ არის:

ა) a. meningea posterior

*ბ) a. tympanica anterior

გ) a. tympanica inferior

დ) rr. pharyngei

428) რომელ არტერიას გამოეყოფა a. zygomaticoorbitalis?

*ა) a. temporalis superficialis

ბ) a. pharyngea ascendes

გ) a. auricularis posterior

დ) a. facialis

429) ზედა ყბის არტერიის ქვედა ყბის მონაკვეთის ტოტი არ არის:

ა) a. auricularis profunda

ბ) a. tympanica anterior

*გ) a. temporalis profunda posterior

დ) a. meningea media

430) ზედა ყბის არტერიის საფეთქელქვედა მონაკვეთის ტოტი არ არის:

ა) a. masseterica

- ბ) a. temporalis profunda anterior
- *გ) a. mentalis
- დ) a. buccalis

431) ზედა ყბის არტერიის ფრთა-სასის მონაკვეთის ტოტია:

- ა) a. alveolaris inferior
- *ბ) a. infraorbitalis
- გ) a. supraorbitalis
- დ) rr. pterigoidei

432) შიგნითა საძილე არტერიას კლდოვან ნაწილში გამოეყოფა შემდეგი ტოტები:

- *ა) rr. caroticotympanici
- ბ) rr. tentorii
- გ) rr. trigeminales
- დ) r. sinus cavernosus

433) ხერხემლის არტერიის მონაკვეთი არ არის:

- ა) pars prevertebralis
- ბ) pars transversaria
- *გ) pars intracerebralis
- დ) pars atlantis

434) ხერხემლის არტერიის ტოტი არ გახლავთ:

- ა) a. spinalis anterior
- ბ) rr. musculares
- *გ) a. cerebelli superior posterior
- დ) a. cerebella inferior posterior

435) ფარ-კისრის ღეროს რომელი ტოტი გვამღევს ტოტებს საყლაპავისთვის?

- *ა) a. thyroidea inferior
- ბ) a. cervicalis ascendens
- გ) a. cervicalis superficialis
- დ) a. suprascapularis

436) ფარ-კისრის ღეროს რომელი ტოტი ეანასტომოზება ბეჭის შემომხვევ არტერიას (იღლიის არტერიის ტოტი) ?

- ა) a. thyroidea inferior

- ბ) a. cervicalis ascendens
- გ) a. cervicalis superficialis
- *დ) a. suprascapularis

437) A. intercostalis posterior prima გამოყოფა:

- ა) ფარ-კისრის ღეროს
- *ბ) ნეკნთაშუა ზემდებარე არტერიას
- გ) გულმკერდის აორტას
- დ) კისრის ღრმა არტერიას

438) ილლიის არტერიის რომელი ტოტი კვებავს სარბევე ჯირკვალს და მის კანს?

- ა) a. thoracica superior
- ბ) a. thoracoacromialis
- გ) a. subscapularis
- *დ) a. thoracica lateralis

439) ილლიის არტერიის რომელი ტოტი გვამღევს გულმკერდ-ზურგის არტერიას (a. thoracodorsalis) ?

- ა) a. thoracica superior
- ბ) a. thoracoacromialis
- *გ) a. subscapularis
- დ) a. thoracica lateralis

440) მხრის არტერიის რომელი ტოტი გვამღევს aa. nutriciae humeri-ს?

- *ა) a. profunda brachii
- ბ) a. collateralis ulnaris superior
- გ) a. collateralis ulnaris inferior
- დ) a. radialis

441) A. princeps pollicis არის შემდეგი არტერიის ტოტი:

- ა) a. brachialis

- ბ) a. axillaris
- გ) a. ulnaris
- *დ) a. radialis

442) ხელგულის ღრმა არტერიულ რკალს ქმნის:

- *ა) სხივის არტერია
- ბ) იდაყვის არტერია
- გ) ნების ხელგულის არტერია
- დ) ძვალთაშუა საერთო არტერია

443) გამოდრეკილი ზედაპირიდან ხელგულის ღრმა რკალს გამოეყოფა შემდეგი არტერია:

- *ა) a. radialis indicis
- ბ) a. princeps policis
- გ) a. recurrens radialis
- დ) a. digitalis palmaris propria

444) ხელგულის ზედაპირულ არტერიულ რკალს ქმნის:

- ა) სხივის არტერია
- *ბ) იდაყვის არტერია
- გ) ნების ხელგულის არტერია
- დ) ძვალთაშუა საერთო არტერია

445) გულმკერდის აორტიდან გამოსული ნეკნთაშუა უკანა არტერიები იძლევიან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ტოტებს, გარდა ერთისა:

- ა) r. cutaneus medialis et lateralis
- ბ) rr. mammarii
- გ) r. spinalis
- *დ) r. ventralis

446) გულმკერდის აორტის ვისცერული ტოტებიდან რომლები მონაწილეობენ გვირგვინოვან არტერიებთან გარესისტემური ანასტომოზების ჩამოყალიბებაში?

- ა) ბრონქული ტოტები
- *ბ) პერიკარდიუმის ტოტები
- გ) შუასაყრის ტოტები
- დ) საყლაპავის ტოტები

447) საიდან იღებს სათავეს თირკმელზედა ჯირკვლის ზემო არტერია?

- ა) შუასაძგიდის ზემო არტერიიდან

- *ბ) შუასაბგიდის ქვემო არტერიიდან
- გ) უშუალოდ მუცლის აორტიდან
- დ) თირკმლის არტერიიდან

448) საიდან გამოდის თირკმელზედა ჯირკვლის შუა არტერია?

- ა) შუასაბგიდის ზემო არტერიიდან
- ბ) შუასაბგიდის ქვემო არტერიიდან
- *გ) უშუალოდ მუცლის აორტიდან
- დ) თირკმლის არტერიიდან

449) რომელი მალის დონეზე გამოდის ფაშვის ღერო მუცლის აორტიდან?

- ა) Th8
- *ბ) Th12
- გ) L1
- დ) L3

450) რომელ არტერიას გამოეყოფა კუჭ-ბადექონის მარჯვენა არტერია?

- *ა) კუჭ-თორმეტგოჯას არტერია
- ბ) ღვიძლის საკუთარ არტერიას
- გ) პანკრეას-თორმეტგოჯას ზემო არტერიას
- დ) კუჭის მარჯვენა არტერიას

451) ღვიძლის რომელი წილი იღებს სისხლს ღვიძლის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა არტერიებიდან?

- ა) მარჯვენა
- ბ) მარცხენა
- *გ) კუდიანი
- დ) კვადრატული

452) a. appendicularis გამოეყოფა შემდეგ არტერიას:

- ა) a. pancreaticoduodenalis inferior
- *ბ) a. ileocolica
- გ) a. colica media
- დ) a. colica dextra

453) ჯორჯლის ზემო არტერიის რომელი ტოტი იძლევა ბრმა ნაწლავის წინა და უკანა არტერიებს?

*ა) a. ileocolica

ბ) a. colica dextra

გ) a. colica media

დ) aa. jejunaes

454) ნაღვლის ბუშტის არტერია გამოეყოფა:

ა) ღვიძლის საერთო არტერიას

*ბ) ღვიძლის მარჯვენა არტერიას

გ) ღვიძლის მარცხენა არტერიას

დ) კუჭ-თორმეტგოჯას არტერიას

455) ჯორჯლის ქვემო არტერიის ტოტი არ არის:

ა) a. rectalis superior

ბ) a. colica sinistra

*გ) a. testicularis

დ) a. sigmoidea

456) თემოს შიგნითა არტერიის ვისცერული ტოტი არ არის:

ა) a. vesicalis inferior

ბ) a. rectalis media

გ) a. uterina

*დ) a. pudenda externa

457) შიგნითა სასირცხო არტერიის ტოტი არ არის:

ა) a. dorsalis penis

ბ) a. profunda clitoris

გ) a. rectalis inferior

*დ) a. umbilicalis

458) რას გამოეყოფა a. cremasterica?

ა) უშუალოდ თემოს გარეთა არტერიას

ბ) თემოს ღრმა შემომხვევ არტერიას

*გ) ქვემო ეპიგასტრულ არტერიას

დ) ბარძაყის არტერიას

459) ბარძაყის არტერიის ტოტი არ არის:

- ა) a. epigastrica superficialis
- ბ) a. circumflexa ilium superficialis
- გ) a. pudenda externa
- *დ) a. epigastrica inferior

460) rete articulare genus-ს ქმნის შემდეგი არტერიის ტოტები:

- ა) a. femoralis
- *ბ) a. poplitea
- გ) a. peronea
- დ) a. tibialis posterior

461) დიდი წვივის წინა არტერიის ტოტი არ არის:

- ა) a. dorsalis pedis
- ბ) a. recurrens tibialis anterior
- *გ) a. plantaris medialis
- დ) a. malleolaris anterior medialis

462) V. saphena magna ჩაერთვის:

- ა) მუხლქვეშა ვენას
- *ბ) ბარძაყის ვენას
- გ) თეძოს შიგნითა ვენას
- დ) თეძოს გარეთა ვენას

463) V. saphena parva ჩაერთვის:

- * ა) მუხლქვეშა ვენას
- ბ) ბარძაყის ვენას
- გ) თეძოს შიგნითა ვენას
- დ) თეძოს გარეთა ვენას

464) თეძოს ზედაპირული შემომხვევი ვენა ჩაერთვის:

- ა) მუხლქვეშა ვენას
- *ბ) ბარძაყის ვენას
- გ) თეძოს შიგნითა ვენას
- დ) თეძოს გარეთა ვენას

465) თეძოს ღრმა შემომხვევი ვენა ჩაერთვის :

- ა) მუხლქვეშა ვენას
- ბ) ბარძაყის ვენას
- გ) თემოს შიგნითა ვენას
- *დ) თემოს გარეთა ვენას

466) რომელი მალის დონეზე იქმნება ქვემო ღრუ ვენა?

- ა) S4
- ბ) S5
- გ) L4
- *დ) L5

467) ქვემო ღრუ ვენის პარიესულ ვენებს არ მიეკუთვნება:

- ა) vv. Phrenicae inferiores
- ბ) vv. lumbales
- გ) vv. Lumbales ascendens
- *დ) vv. iliolumbales

468) შევარდნისა და სალმის ვენები ერთმანეთს უკავშირდებიან:

- *ა) იდაყვის შუა ვენით
- ბ) სხივის შუა ვენით
- გ) იდაყვის გვერდითი ზემო ვენით
- დ) იდაყვის გვერდითი ქვემო ვენით

469) რომელ ვენას ჩაერთვის v. basilica?

- ა) v. radialis
- ბ) v. ulnaris
- *გ) v. brachialis
- დ) v. axillaris

470) რომელ ვენას ჩაერთვის v. cephalica?

- ა) v. radialis
- *ბ) v. axillaris
- გ) v. brachialis
- დ) v. subclavia

471) V. ophthalmica superior-ს ჩაერთვის ყველა ვენა, გარდა ერთისა:

- ა) v. nasofrontalis
- ბ) vv. vorticosae
- *გ) v. supratrochlearis

დ) v. centralis retinae

472) რომელი ორი ვენის შეერთებით შეიქმნება v.retromandibularis?

ა) v. supratrochlearis et v. supraorbitalis

*ბ) v. temporalis superficialis et v. temporalis media

გ) v. temporalis superficialis et v. transversa faciei

დ) v. supraorbitalis et v.temporalis media

473) რომელი ორი ვენის შეერთებით შეიქმნება v.facialis?

*ა) v. supratrochlearis et v. supraorbitalis

ბ) v. temporalis superficialis et v. temporalis media

გ) v. temporalis superficialis et v. transversa faciei

დ) v. supraorbitalis et v.temporalis media

474) V. retromandibularis-ს არ ჩაერთვის:

ა) სახის განივი ვენა

ბ) ზედა ყბის ვენები

გ) ფრთისებრი ვენური წნული

*დ) მტევნისებრი ვენური წნული

475) რომელ ორგანოში ყალიბდება plexus pampiniformis?

*ა) სათესლეში

ბ) საშოში

გ) პროსტატაში

დ) საშვილოსნოში

476) რომელი ორი ვენის ურთიერთდაკავშირების ადგილს ეწოდება ვენური კუთხე?

*ა) შიგნითა საუღლე და ლავიწქვეშა ვენების

ბ) წინა და გარეთა საუღლე ვენების

გ) გარეთა საუღლე და ლავიწქვეშა ვენების

დ) კისრის განივი და გარეთა საუღლე ვენების

477) რომელი ვენა არ ჩაერთვის შიგნითა საუღლე ვენას?

ა) v.canaliculi cochleae

ბ) v. lingualis

გ) v. thyroidea superior

*დ) v. dorsalis scapulae

- 478) რომელი ვენა არ ჩაერთვის მხარ-თავის ვენას?
*ა) v. thyroidea media
ბ) v. thyroidea inferior
გ) vv. thymicae
დ) vv. Thoracicae internae
- 479) V. azygos ჩაერთვის:
*ა) ზემო ღრუ ვენას
ბ) მარჯვენა მხარ-თავის ვენას
გ) მარჯვენა ლავიწქვეშა ვენას
დ) მარჯვენა ვენურ კუთხეს
- 480) რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი არ უერთდება კენტ ვენას?
ა) ხერხემლის გარეთა და შიგნითა ვენური წნულები
ბ) საყლაპავი მილის, ბრონქული და პერიკარდიული ვენები
*გ) წელის მარცხენა და მარჯვენა ასწვრივი ვენები
დ) შუასაბგიდის ზემო და ზურგის ტვინის ვენები
- 481) კარის ვენის შექმნაში არ მონაწილეობს?
ა) ჯორჯლის ზემო ვენა
ბ) ჯორჯლის ქვემო ვენა
*გ) ფაშვის ვენა
დ) ელენთის ვენა
- 482) კავა-კავალური ანასტომოზების შექმნაში არ მონაწილეობენ:
ა) ხერხემლის შიგნითა და გარეთა ვენური წნულები
ბ) კენტი/ნახევრადკენტი და წელის ასწვრივი ვენები
გ) ქვემო და ზემო ეპიგასტრული ვენები
*დ) საყლაპავის ქვემო მესამედისა და კუჭის კარდიალური ნაწილის ვენები
- 483) პორტო-კავალური ანასტომოზების შექმნაში მონაწილეობენ:
ა) ხერხემლის შიგნითა და გარეთა ვენური წნულები
ბ) კენტი/ნახევრადკენტი და წელის ასწვრივი ვენები
გ) ქვემო და ზემო ეპიგასტრული ვენები
*დ) საყლაპავის ქვემო მესამედისა და კუჭის კარდიალური ნაწილის ვენები
- 484) ნაყოფის სისხლის მიმოქცევის ნორმალურ დამატებით ელემენტებს არ მიეკუთვნება:

- ა) არტერიული (ბოტალის) სადინარი
- ბ) ვენური (არანცის) სადინარი
- გ) წინაგულთაშუა ძგიდეში არსებული ხვრელი
- *დ) პარაკუჭთაშუა ძგიდეში არსებული ხვრელი

485) ჭიპის ვენის ობლიტერაციის შემდეგ წარმოიქმნება:

- *ა) lig. teres hepatis
- ბ) lig. umbilicalis medialis
- გ) lig. arteriosum
- დ) lig. umbilicalis mediana

486) რომელი მიდამოდან არ აგროვებს ლიმფას truncus lumbalis?

- ა) მუცლის ღრუს კედლებიდან
- *ბ) მუცლის ღრუს ორგანოებიდან
- გ) ქვემო კიდურებიდან
- დ) მენჯის ღრუს ორგანოებიდან

487) რომელი ლიმფური ღერო აგროვებს ლიმფას გულმკერდის ღრუს ორგანოებიდან და კედლიდან?

- ა) truncus lumbalis
- *ბ) truncus bronchomediastinalis
- გ) truncus subclavius
- დ) truncus jugularis

488) გულმკერდის სადინრის რომელ მონაკვეთში მდებარეობს cisterna chyli?

- *ა) დასაწყის ნაწილში
- ბ) დიაფრაგმის აორტის ხვრელში გავლის ადგილას
- გ) მარცხენა ვენურ კუთხეში ჩართვის ადგილას
- დ) სადინართან ლავიწქვეშა ღეროს ჩართვის ადგილას

489) ვენური სისტემის რა ნაწილში ხდება უმეტესად ლიმფური სადინრების ჩართვა?

- ა) მხარ-თავის ვენაში
- ბ) ილიის ვენაში
- *გ) ვენურ კუთხეში
- დ) წინა საუღლე ვენაში

- 490) ლიმფური კვანძის რომელ სინუსში იხსნება მომტანი ლიმფური ძარღვი?
*ა) განაპირა სინუსში
ბ) კარის სინუსში
გ) შუალედურ სინუსში
დ) ტვინოვან სინუსში
- 491) ელენტაზე განირჩევა ყველა ჩამოთვლილი ელემენტი, გარდა ერთისა:
ა) *facies diaphragmatica*
ბ) *hilus lienis*
გ) *margo superior*
*დ) *extremitas superior*
- 492) პერიტონეუმთან ურთიერთობის თვალსაზრისით ელენტა არის:
ა) რეტროპერიტონეული ორგანო
ბ) მეზოპერიტონეული ორგანო
*გ) ინტრაპერიტონეული ორგანო
დ) ექსტრაპერიტონეული ორგანო
- 493) პეიერის ფოლაქები გვხვდება:
ა) საჭმლის მომნელებელი მილის მთელ სიგრძეზე
ბ) სასუნთქი გზების ლორქოვანში
*გ) თემოს ნაწლავსა და აპენდიქსში
დ) მლივ ნაწლავსა და აპენდიქსში
- 494) მკერდუკანა ჯირკვალი უკანა ზედაპირით ეხება:
ა) შუასაყრის პლევრას
ბ) მკერდის ძვლის ტარს
*გ) პერიკარდიუმს
დ) მკერდ-ინის კუნთს
- 495) მოზრდილი ადამიანის ძვლოვანი სისტემის რომელ ნაწილში არ გვხვდება *medulla osseum rubrum*?
ა) ბრტყელ ძვლებში
ბ) ლულოვანი ძვლის პროქსიმალურ ეპიფიზში
*გ) ლულოვანი ძვლის დიაფიზში
დ) ლულოვანი ძვლის დისტალური ეპიფიზში

496) მოგრძო ტვინის განვითარებას დასაბამს აძლევს შემდეგი ტვინოვანი ბუშტუკი:

- *ა) myelencephalon
- ბ) metencephalon
- გ) mesencephalon
- დ) diencephalon

497) შუა ტვინის განვითარებას დასაბამს აძლევს შემდეგი ტვინოვანი ბუშტუკი:

- ა) myelencephalon
- ბ) metencephalon
- *გ) mesencephalon
- დ) diencephalon

498) ხიდის და ნათხემის განვითარებას დასაბამს აძლევს შემდეგი ტვინოვანი ბუშტუკი:

- ა) myelencephalon
- *ბ) metencephalon
- გ) mesencephalon
- დ) diencephalon

499) შუამდებარე ტვინის განვითარებას დასაბამს აძლევს შემდეგი ტვინოვანი ბუშტუკი:

- ა) myelencephalon
- ბ) metencephalon
- გ) mesencephalon
- *დ) diencephalon

500) ჰემისფეროების განვითარებას დასაბამს აძლევს შემდეგი ტვინოვანი ბუშტუკი:

- *ა) telencephalon
- ბ) metencephalon
- გ) mesencephalon
- დ) diencephalon

501) განვითარების სამბუშტუკოვან სტადიაზე თავის ტვინი მოიცავს შემდეგ ნაწილებს, გარდა ერთისა:

- *ა) telencephalon
- ბ) metencephalon
- გ) mesencephalon

დ) prosencephalon

502) რომელი ანატომიური მიდამო არ შეესაბამება თავის ტვინსა და ზურგის ტვინს შორის საზღვარს?

ა) I სპინალური ნერვის გამოსვლის დონე

ბ) decussatio pyramidalis

გ) articulatio atlantooccipitalis

*დ) intumescencia cervicalis

503) რომელი მალის დონემდე გრძელდება მოზრდილი ადამიანის ზურგის ტვინი?

ა) Th10

*ბ) L2

გ) L3

დ) L4

504) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ზურგის ტვინის ნაწილი?

ა) sulcus medianus posterior

ბ) sulcus anterolateralis

*გ) funiculus medialis

დ) fissure mediana anterior

505) რამდენი სეგმენტი გვხვდება ადამიანის ზურგის ტვინის კისრის ნაწილში?

ა) 5

ბ) 7

*გ) 8

დ) 12

506) შიპოს წესის თანახმად ზურგის ტვინის რომელი სეგმენტი მდებარეობს კისრის IV მალის წვეტიანი მორჩის დონეზე?

ა) კისრის IV სეგმენტი

*ბ) კისრის V სეგმენტი

გ) კისრის VI სეგმენტი

დ) კისრის VII სეგმენტი

507) ზურგის ტვინის რუხ ნივთიერებას არ განეკუთვნება:

ა) columna anterior

- *ბ) funiculus anterior
- გ) commissura grisea
- დ) cornu lateralis

508) ზურგის ტვინის თეთრ ნივთიერებას არ განეკუთვნება:

- ა) fasciculi proprii
- ბ) funiculus lateralis
- *გ) columna anterior
- დ) fasciculus cuneatus

509) რომელი კრანიალი ნერვი გამოდის მოგრძო ტვინის ოლივებსა და პირამიდებს შორის საზღვარზე არსებულ წინა შუამდებარე ღარში?

- ა) IX
- ბ) X
- გ) XI
- *დ) XII

510) მოგრძო ტვინში არსებული ბირთვებიდან რომელი არ წარმოადგენს თავის ტვინის IX წყვილი ნერვის ბირთვს?

- ა) nucleus ambiguus
- ბ) nucleus tractus solitarii
- გ) nucleus salivatorius inferior
- *დ) nucleus dorsalis nervi vagi

511) მოგრძო ტვინში არსებული ბირთვებიდან რომელი არ წარმოადგენს თავის ტვინის X წყვილი ნერვის ბირთვს?

- ა) nucleus ambiguus
- ბ) nucleus tractus solitarii
- *გ) nucleus salivatorius inferior
- დ) nucleus dorsalis nervi vagi

512) თავის ტვინის V წყვილი ნერვის რომელი ბირთვი გვხვდება მოგრძო ტვინში?

- *ა) nucleus tractus spinalis n. trigemini
- ბ) nucleus tractus mesencephalici n. trigemini
- გ) nucleus motorius n. trigemini
- დ) nucleus sensorius principalis n. trigemini

513) ხიდის ვენტრალურ და დორსალურ ნაწილებს შორის საზღვარს წარმოადგენს:

- ა) lemniscus lateralis
- ბ) corpus amigdaloides
- *გ) corpus trapezoides
- დ) lemniscus medialis

514) ხიდი ნათხემს უკავშირდება:

- ა) ოლივოცერებელური ტრაქტით
- ბ) ნათხემის ზედა ფეხებით
- *გ) ნათხემის შუა ფეხებით
- დ) ნათხემის ქვედა ფეხებით

515) რომელი წილი არ გააჩნია ნათხემს?

- *ა) lobus superior
- ბ) lobus inferior
- გ) lobus anterior
- დ) lobus posterior

516) ნათხემის ჭიის წინა წილის წილაკი არ არის:

- ა) lingula
- ბ) lobulus centralis
- გ) culmen
- *დ) declive

517) ნათხემის ჰემისფეროების უკანა წილის წილაკი არ არის:

- ა) lobulus simplex
- ბ) lobulus semilunaris superior
- *გ) lobulus biventer
- დ) lobulus semilunaris inferior

518) რომისებრი ფოსოს ხიდისა და მოგრძო ტვინის ნაწილებს შორის საზღვარს წარმოადგენს:

- *ა) stria medullares ventriculi quarti
- ბ) velum medullare inferius ventriculi quarti
- გ) tela choroidea ventriculi quarti
- დ) sulcus medialis ventriculi quarti

- 519) რომელი ხვრელები ემსახურება მეოთხე პარაკუჭის თავის ტვინის ქსელქვეშა სივრცესთან დაკავშირებას?
ა) მონროს ხვრელი
*ბ) ლუმკას და მაჟანდის ხვრელები
გ) სილვიის წყალსადენი
დ) ზურგის ტვინის ცენტრალური ხვრელი
- 520) რომისებრი ფოსოს ზედა სამკუთხედის რომელ ნაწილში მდებარეობს ე.წ. ლურჯი ალაგი, რომლის უჯრედებიც გამოიმუშავებენ ნორადრენალინს და ხელს უწყობენ თავის ტვინის სისხლმომარაგების აუტორეგულაციას?
ა) eminentia medialis
ბ) sulcus limitans
გ) colliculus facialis
*დ) fovea superior
- 521) ჰიპოთალამუსის ქვედა კედელზე გვხვდება ყველა წარმონაქმნი, გარდა ერთისა:
ა) დვრილისებრი სხეულები
ბ) რუხი ბორცვი და ძაბრი
*გ) საზღვროვანი ფირფიტა
დ) მხედველობის ჯვარედინი
- 522) ჰიპოთალამუსის ბირთვებიდან რომელი გამოიმუშავებს ვაზოპრესინს?
*ა) სუპრაოპტიკური
ბ) პარავენტრიკულური
გ) დორსომედიალური
დ) ვენტრომედიალური
- 523) თალამუსის რომელ ბირთვებში მთავრდება ვიკ-დაზირის კონა (fasciculus mamillothalamicus) ?
*ა) წინა ბირთვებში
ბ) რეტიკულურ ბირთვებში
გ) მედიალურ ბირთვებში
დ) ვენტროლატერალურ ბირთვებში
- 524) მეტათალამუსის შემადგენლობაში შედის:
ა) adhesio interthalamica
*ბ) corpus geniculatum laterale et mediale

- გ) corpus pineale
- დ) trigonum habenularum

525) ეპითელამუსის შემადგენლობაში არ შედის:

- ა) striae medullares
- ბ) habenulae
- გ) commissura habenularum
- *დ) corpus geniculatum
- დ) laminae medullares

526) თავის ტვინის მესამე პარაკუჭის წინა კედელს ქმნის:

- ა) უკანა დაცხრილული სუბსტანცია
- ბ) ტვინის ფეხების დასაწყისი ნაწილი
- გ) დვრილისებრი სხეულები
- *დ) საბოლოო ფირფიტა

527) რომელი ჯიბე არ გააჩნია თავის ტვინის მესამე პარაკუჭს?

- ა) recessus opticus
- ბ) recessus pinealis
- *გ) recessus peduncularis
- დ) recessus infundibuli

528) რისი საშუალებით უკავშირდება თავის ტვინის მესამე პარაკუჭი გვერდით პარაკუჭებს?

- *ა) მონროს ხვრელის
- ბ) ლუშკას ხვრელის
- გ) სილვიის წყალსადენის
- დ) მაჟანდის ხვრელის

529) რომელი პოლუსი არ გააჩნია თავის ტვინის ჰემისფეროებს?

- ა) polus occipitalis
- ბ) polus frontalis
- *გ) polus parietalis
- დ) polus temporalis

- 530) რომელი ღარი გამოყოფს თავის ტვინის ჰემისფეროების საფეთქლის წილს შუბლისა და თხემის წილებისგან?
*ა) sulcus lateralis
ბ) sulcus centralis
გ) sulcus cinguli
დ) sulcus occipitalis transversa
- 531) რომელი ღარი გამოყოფს თავის ტვინის ჰემისფეროების შუბლის წილს თხემის წილისაგან?
ა) sulcus lateralis
*ბ) sulcus centralis
გ) sulcus cinguli
დ) sulcus occipitalis transversa
- 532) რომელი ღარები ემსახურება თავის ტვინის ჰემისფეროების კეფისა და თხემის წილების ერთმანეთისგან გამოყოფას?
ა) sulcus lateralis et sulcus centralis
ბ) sulcus centralis et sulcus parietooccipitalis
გ) sulcus cinguli et sulcus occipitalis transversa
*დ) sulcus occipitalis transversa et sulcus parietooccipitalis
- 533) რომელი ხვეული არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების შუბლის წილს?
ა) gyrus precentralis
ბ) gyrus frontalis superior
გ) gyrus rectus et gyrus orbitalis
*დ) gyrus postcentralis
- 534) რომელი ღარი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების შუბლის წილს?
ა) sulcus precentralis
ბ) sulcus frontalis inferior
გ) sulcus orbitalis
*დ) sulcus postcentralis
- 535) რომელი ხვეული არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების თხემის წილს?
ა) gyrus postcentralis
ბ) lobulus parietalis superior

- გ) gyrus angularis
- *დ) gyrus lingualis

536) რომელი ღარი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების თხემის წილს?

- ა) sulcus postcentralis
- *ბ) sulcus calcarinus
- გ) sulcus intraparietalis
- დ) sulcus subparietalis

537) რომელი ხვეული არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების საფეთქლის წილს?

- ა) gyrus occipitotemporalis lateralis
- ბ) gyrus temporalis superior
- გ) gyrus parahypocampalis
- *დ) gyrus lingualis

538) რომელი ღარი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების საფეთქლის წილს?

- ა) sulcus temporalis inferior
- *ბ) sulcus parietooccipitalis
- გ) sulcus colllateralis
- დ) sulcus temporalis superior

539) ჩამოთვლილთაგან რომელი ანალიზატორი პროეცირდება კეფის წილის ფრინველის დეზის ნაპრალის მიმდებარე ხვეულებში?

- ა) სმენის
- ბ) ყნოსვის
- *გ) მხედველობის
- დ) გემოვნების

540) ჩამოთვლილთაგან რომელი ანალიზატორი პროეცირდება უკანა ცენტრალური ხვეულის ქვედა ბოლოზე?

- ა) სმენის
- ბ) ყნოსვის
- გ) მხედველობის
- *დ) გემოვნების

541) თავის ტვინის ჰემისფეროების რომელ ხვეულში ლოკალიზდება მეტყველების სმენითი ანალიზატორი (ვერნიკეს არე) ?

- ა) შუბლის ქვედა ხვეულში
- *ბ) საფეთქლის ზედა ხვეულში
- გ) კუთხის ხვეულში
- დ) შუბლის შუა ხვეულში

542) თავის ტვინის ჰემისფეროების რომელ ხვეულში ლოკალიზდება მეტყველების წერითი ანალიზატორი?

- ა) შუბლის ქვედა ხვეულში
- ბ) საფეთქლის ზედა ხვეულში
- გ) კუთხის ხვეულში
- *დ) შუბლის შუა ხვეულში

543) თავის ტვინის ჰემისფეროების რომელ ხვეულში ლოკალიზდება მეტყველების მხედველობითი ანალიზატორი?

- ა) შუბლის ქვედა ხვეულში
- ბ) საფეთქლის ზედა ხვეულში
- *გ) კუთხის ხვეულში
- დ) შუბლის შუა ხვეულში

544) ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის თხემის წილის ხვეულებისა და მათში ლოკალიზებული ცენტრების სწორი კომბინაცია?

- ა) კუთხის ხვეული - მეტყველების მხედველობითი ანალიზატორი
- ბ) ზენაპირა ხვეული - პრაქსისის ცენტრი
- გ) თხემის ზედა წილაკი - სტერეოგნოზიის ცენტრი
- *დ) თხემის ქვედა წილაკი - მეტყველების წერითი ანალიზატორი

545) ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების გრძელ ასოციაციურ ბოჭკოებს?

- ა) კავისებრი კონა
- *ბ) რკალოვანი კონები
- გ) ზედა და ქვედა გასწვრივი კონები
- დ) კორძქვეშა კონა

546) რომელი ნაწილი არ გააჩნია კუდიან ბირთვს?

- ა) თავი
- ბ) სხეული
- *გ) ყელი
- დ) კუდი

547) ოსპისებრი ბირთვი კუდიანი ბირთვისგან გამოყოფილია:

- ა) შიგნითა კაფსულის მუხლით
- *ბ) შიგნითა კაფსულის წინა ფეხით
- გ) შიგნითა კაფსულის უკანა ფეხით
- დ) გარეთა კაფსულით

548) ზღუდე ჩენჩოსგან გამოყოფილია:

- ა) შიგნითა კაფსულის მუხლით და წინა ფეხით
- ბ) შიგნითა კაფსულის მუხლით და უკანა ფეხით
- *გ) გარეთა კაფსულით
- დ) განაპირა კაფსულით

549) ზღუდე კუნძულის ქერქისგან გამოყოფილია:

- ა) შიგნითა კაფსულის მუხლით და წინა ფეხით
- ბ) შიგნითა კაფსულის მუხლით და უკანა ფეხით
- გ) გარეთა კაფსულით
- *დ) განაპირა კაფსულით

550) რომელი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ჰემისფეროების ბაზალურ ბირთვებს?

- ა) corpus amigdaloidum
- *ბ) corpus mamillaris
- გ) corpus striatum
- დ) claustrum

551) ლიმბური სისტემის შემადგენლობაში ჰემისფეროების ბაზალური

ბირთვებიდან მოიაზრება:

- *ა) ნუშისებრი სხეული
- ბ) მკრთალი სფერო
- გ) ჩენჩო
- დ) ზღუდე

- 552) თავის ტვინის გვერდითი პარაკუქების წინა რქის კედლებს არ ქმნის:
- ა) გამჭვირვალე ძგიდე
 - *ბ) კოლატერალური სამკუთხედი
 - გ) კუდიანი სხეულის თავი
 - დ) კორძიანი სხეული
- 553) კორძიანი სხეულის რომელი ნაწილი გრძელდება დაკბილულ ხვეულში?
- ა) truncus corporis callosi
 - ბ) forceps occipitalis
 - *გ) indusium griseum
 - დ) splenium corporis callosi
- 554) რომელი არ მიეკუთვნება თავის ტვინის ღრმა ვენებს?
- ა) v. cerebri magna
 - *ბ) v. cerebri media
 - გ) v. basalis
 - დ) v. choroidea
- 555) თავისა და ზურგის ტვინის რომელ გარსთაშუა სივრცეში ცირკულირებს თავ-ზურგ ტვინის სითხე?
- ა) ეპიდურულში
 - ბ) სუბდურულში
 - *გ) სუბარაქნოიდულში
 - დ) ეპიარაქნოიდულში
- 556) რომელ სინუსს ჩაერთვის ზემო საგიტალური სინუსი?
- *ა) განივ სინუსს
 - ბ) სწორ სინუსს
 - გ) კეფის სინუსს
 - დ) ზემო კლდოვან სინუსს
- 557) სპინალური ნერვების რომელი ტოტების გაერთიანებით მიიღება ნერვული წნულები?
- *ა) წინა
 - ბ) უკანა
 - გ) მენინგური
 - დ) შემაერთებელი

558) რომელი სპინალური ნერვების წინა ტოტებით იქმნება კისრის წნული?

- *ა) C1-C4
- ბ) C2-C5
- გ) C4-C8
- დ) C5-C7

559) რომელი სპინალური ნერვების წინა ტოტებით იქმნება მხრის წნული?

- ა) C4-C8
- ბ) C5-Th3
- *გ) C5-Th1
- დ) C3-Th3

560) რომელი სპინალური ნერვების წინა ტოტებით იქმნება წელის წნული?

- ა) Th12-L3
- *ბ) L1-L4
- გ) L3-L5
- დ) L2-L4

561) რომელი სპინალური ნერვების წინა ტოტებით იქმნება გავის წნული?

- ა) L1-S1
- ბ) L2-S2
- გ) L3-S3
- *დ) L4-S4

562) კისრის წნულის კანის ტოტებს არ მიეკუთვნება:

- ა) n. occipitalis minor
- ბ) n. transversus colli
- გ) nn. supraclaviculares
- *დ) n. suprascapularis

563) დიაფრაგმის ნერვით არ ინერვირდება:

- ა) პლევრა
- ბ) პერიკარდიუმი
- გ) პერიტონეუმი
- *დ) ბუდისებრი გარსი

564) რომელი არ არის მხრის წნულის მოკლე ტოტი?

- ა) n. dorsalis scapulae
- ბ) n. thoracicus longus
- *გ) n. supraclavicularis
- დ) n. suprascapularis

565) რომელი არ არის მხრის წნულის გრძელი ტოტი?

- ა) n. musculocutaneus
- ბ) n. radialis
- გ) n. cutaneus brachii medialis
- *დ) n. thoracicus longus

566) რომელ კუნთს ანერვებს გულმკერდის გრძელი ნერვი?

- ა) ბეჭის ამწევ კუნთს
- ბ) წინა კიბისებრ კუნთს
- *გ) წინა დაკბილულ კუნთს
- დ) ლავიწვეშა კუნთს

567) რომელი ნერვის გაგრძელებას წარმოადგენს წინამხრის კანის ლატერალური ნერვი?

- *ა) კუნთ-კანის ნერვის
- ბ) შუათანა ნერვის
- გ) იდაყვის ნერვის
- დ) სხივის ნერვის

568) რომელ კუნთს არ აინერვირებს კუნთ-კანის ნერვი?

- ა) მხრის ორთავა კუნთს
- *ბ) მხრის სამთავა კუნთს
- გ) ნისკარტ-მხრის კუნთს
- დ) მხრის კუნთს

569) რომელ კუნთს არ აინერვირებს წინამხარზე შუათანა ნერვი?

- ა) m. flexor digitorum profundus
- ბ) m. flexor carpi radialis
- *გ) m. flexor carpi ulnaris
- დ) m. pronator teres

570) ნეკნთაშუა ნერვების კანის ტოტებით ინერვირდება:

- *ა) სარძევე ჯირკვალი
- ბ) საზარდულის მიდამოს კანი
- გ) ლავიწზედა მიდამოს კანი
- დ) ზურგის მიდამოს კანი

571) წელის წნულის მოკლე ტოტებიდან რომელს გამოეყოფა nn. scrotales anteriores?

- ა) თემო-მუცლის ნერვს
- *ბ) თემო-საზარდულის ნერვს
- გ) სასქესო-ბარძაყის ნერვს
- დ) ბარძაყის ტოტს

572) რომელი ტოტი არ გამოეყოფა სასქესო-ბარძაყის ნერვს?

- ა) r. genitalis
- ბ) r. femoralis
- გ) r. cremaster
- *დ) r. cutaneus lateralis

573) ბარძაყის ნერვი არ აინერვირებს:

- ა) თერძის კუნთს
- *ბ) გარეთა დამხურავ კუნთს
- გ) ქედის კუნთს
- დ) ბარძაყის ოთხთავა კუნთს

574) დამხურავი ნერვი არ აინერვირებს:

- ა) დიდ მომზიდველ კუნთს
- ბ) მენჯ-ბარძაყის სახსარს
- გ) გრძელ მომზიდველ კუნთს
- *დ) ნახევრადმყესოვან კუნთს

575) გავის წნულის მოკლე ტოტებს არ მიეკუთვნება:

- *ა) n. iliohypogastricus
- ბ) n. gluteus superior
- გ) n. pudendus
- დ) n. gluteus inferior

576) სასირცხო ნერვის ტოტებს არ მიეკუთვნება:

- ა) n. dorsalis penis
- ბ) n. rectalis inferior
- გ) n. perinealis
- *დ) n. rectalis media

577) საჯდომი ნერვის ტოტებით არ ინერვირდება:

- *ა) დიდი მომზიდველი კუნთის წინა ნაწილი
- ბ) ნახევრადმეცხოვანი და თითისტარა კუნთები
- გ) მუხლის სახსარი
- დ) ბარძაყის ორთავა კუნთის გრძელი თავი

578) მცირე წვივის ზედაპირული ნერვი აინერვირებს:

- *ა) კანჭის ლატერალური ჯგუფის კუნთებს
- ბ) კანჭის წინა ჯგუფის კუნთებს
- გ) კანჭის უკანა ჯგუფის კუნთებს
- დ) ტერფძირის კუნთებს

579) მცირე წვივის ღრმა ნერვი არ აინერვირებს:

- ა) კანჭის წინა ჯგუფის კუნთებს
- ბ) კოჭ-წვივის სახსარს
- *გ) ტერფის ლატერალურ კუნთებს
- დ) ტერფის I-II თითების შემხები ზედაპირის კანს

580) აღნიშნეთ ყნოსვის ქერქვეშა ცენტრო:

- ა) პარაჰიპოკამპური ხვეული და კაუჭი
- ბ) ყნოსვის ბოლქვი
- *გ) ყნოსვის სამკუთხედი
- დ) კეფის წილის ენის ხვეული

- 581) ყნოსვის ნერვის ბოჭკოები ქალას ღრუში შედიან:
- *ა) ცხავის ძვლის დაცხრილული ფირფიტით
 - ბ) ნაწილი მრგვალი ხვრელით, ნაწილი ოვალური ხვრელით
 - გ) ნაწილი წვეტიანი ხვრელით, ნაწილი მრგვალი ხვრელით
 - დ) ცხვირის ზემო გასავლის ცხავ-სოლისებრი ჯიბით
- 582) მხედველობის ნერვის რომელ მონაკვეთში შეიჭრება ბადურას ცენტრალური არტერია?
- ა) თვალის კაკლის
 - *ბ) თვალბუდის
 - გ) მხედველობის არხის
 - დ) ქალას ღრუს
- 583) აღნიშნეთ მხედველობის ქერქქვეშა ცენტრო:
- ა) მედიალური დამუხვლილი სხეული
 - *ბ) ლატერალური დამუხვლილი სხეული
 - გ) დეზის ნაპრალის მიმდებარე ხვეულები
 - დ) ზღვის ცხენის და კაუჭის ხვეულები
- 584) თვალის რომელ კუნთს ანერვებს n.oculomotorius-ის ზემო ტოტი?
- *ა) ზემო ქუთუთოს ამწევ კუნთს
 - ბ) ქვემო სწორ კუნთს
 - გ) მედიალურ სწორ კუნთს
 - დ) ქვემო ირიბ კუნთს
- 585) რომელ კუნთს არ ანერვებს თვალის მამომრავებელი ნერვი?
- ა) m. rectus superior
 - ბ) m. rectus inferior
 - *გ) m. rectus lateralis
 - დ) m. obliquus inferior
- 586) მაგარი გარსის რომელ წიაღში გაივლის ჭალისებრი ნერვი?
- ა) სიგმოიდურ სინუსში
 - *ბ) მღვიმოვან სინუსში
 - გ) სწორ სინუსში
 - დ) კეფის სინუსში
- 587) სამწვერა ნერვის ბირთვებიდან რომელია პასუხისმგებელი პროპრიოცეპტულ მგრძნობელობაზე?

- ა) nucleus sensorius principalis n. trigemini
- *ბ) nucleus tractus mesencephalici n. trigemini
- გ) nucleus tractus spinalis n. trigemini
- დ) nucleus motorius n. trigemini

588) რომელ ვეგეტატიურ კვანძთანაა დაკავშირებული თვალბუდის ნერვი?

- ა) ყურის კვანძთან
- ბ) ყბისქვეშა კვანძთან
- *გ) წამწამოვან კვანძთან
- დ) ფრთა-სასის კვანძთან

589) რომელ ვეგეტატიურ კვანძებს უკავშირდება ქვედა ყბის ნერვი?

- ა) ყურის და ფრთა-სასის კვანძებთან
- *ბ) ყბისქვეშა და ყურის კვანძებთან
- გ) წამწამოვან და ყურის კვანძებთან
- დ) ფრთა-სასის და ყბისქვეშა კვანძებთან

590) რომელი ხვრელით ტოვებს ქალს ღრუს ზედა ყბის ნერვი?

- *ა) მრგვალი ხვრელით
- ბ) ოვალური ხვრელით
- გ) სადგის-დვრილისებრი ხვრელით
- დ) წვეტიანი ხვრელით

591) რომელი ხვრელით ტოვებს ქალას ღრუს ქვედა ყბის ნერვი?

- ა) მრგვალი ხვრელით
- *ბ) ოვალური ხვრელით
- გ) სადგის-დვრილისებრი ხვრელით
- დ) წვეტიანი ხვრელით

592) რომელი ხვრელით ტოვებს ქალას ღრუს სახის ნერვი?

- ა) მრგვალი ხვრელით
- ბ) ოვალური ხვრელით
- *გ) სადგის-დვრილისებრი ხვრელით
- დ) წვეტიანი ხვრელით

593) რომელი ტოტები არ გამოეყოფა თვალბუდის ქვედა ნერვს?

- ა) rr. palpebrales inferiores
- ბ) rr. nasales superiores
- გ) nn. alveolares superiores
- *დ) rr. buccales

594) ქვედა ყბის ნერვის მგრძნობიარე ბოჭკოები არ აინერვირებს:

- *ა) ენის ლორწოვანს მთლიანად
- ბ) დაფის აპკის გარეთა ზედაპირს
- გ) ქვედა ტუჩის კანს
- დ) ქვედა ყბის კბილთა ორგანოს

595) ყურ-საფეთქლის ნერვს არ გამოეყოფა:

- *ა) ხახის პირის ტოტები
- ბ) გარეთა სასმენი მილის ნერვი
- გ) ყბაყურა ჯირკვლის ტოტები
- დ) ყურის წინა ტოტები

596) რომელ კუნთს არ აინერვირებს ქვედა ყბის ნერვი?

- ა) საფეთქლის კუნთს
- ბ) გარეთა ფრთისებრ კუნთს
- *გ) ორმუცელა კუნთის უკანა მუცელს
- დ) დაფის აპკის დამჭიმავ კუნთს

597) თვალის გარეთა სწორ კუნთს ანერვებს:

- ა) თვალის მამოძრავებელი ნერვი
- ბ) ჭალისებრი ნერვი
- გ) თვალბუდის ნერვი
- *დ) განმზიდველი ნერვი

598) სახის ნერვს სახის არხში არ გამოეყოფა:

- ა) დაფის სიმი
- *ბ) მცირე კლდოვანი ნერვი

- გ) დიდი კლდოვანი ნერვი
- დ) უზანგის ნერვი

599) სახის ნერვის რომელი ტოტი ანერვებს ყბისქვეშა და ენისქვეშა სანერწყვე ჯირკვლებს?

- *ა) დაფის სიმი
- ბ) უზანგის ნერვი
- გ) დიდი კლდოვანი ნერვი
- დ) ყურის უკანა ნერვი

600) სახის ნერვის კუნთოვან ტოტებს არ მიეკუთვნება:

- ა) ყურის უკანა ნერვი
- ბ) საფეთქლის ტოტები
- *გ) ყურ-საფეთქლის ნერვი
- დ) ქვედაყბის სანაპირო ტოტი

601) VIII წყვილი ნერვის ის ბოჭკოები, რომლებიც მოემართებიან კარიბჭიდან ბოლოვდებიან შემდეგ ბირთვებში, გარდა ერთისა:

- ა) nucleus vestibularis medialis
- *ბ) nucleus vestibularis anterior
- გ) nucleus vestibularis lateralis
- დ) nucleus vestibularis inferior

602) რომელი კრანიული ნერვი არ ტოვებს ქალას ღრუს საუღლე ხვრელით?

- ა) IX
- ბ) X
- გ) XI
- *დ) XII

603) ენა-ხახის ნერვის ტოტი არ არის:

- ა) n. tympanicus
- *ბ) n. laryngeus recurrens
- გ) r. sinus carotici
- დ) r. musculi stylopharyngei

604) ცთომილი ნერვის რომელ ტოტს უკავშირდება ენა-ხახის ნერვი შემაერთებელი ტოტით?

- *ა) ყურის ტოტს
- ბ) ხახის ტოტს
- გ) მენინგურ ტოტს
- დ) ბრონქულ ტოტს

605) ცთომილ ნერვს თავის მონაკვეთში გამოეყოფა:

- *ა) ყურის ტოტი
- ბ) ხახის ტოტები
- გ) ბრონქული ტოტები
- დ) ხორხის შებრუნებული ნერვი

606) ცთომილი ნერვის კისრის მონაკვეთის ბოლო ტოტია:

- ა) n. laryngeus superior
- ბ) n. laryngeus inferior
- *გ) n. laryngeus recurrens
- დ) n. mylohyoides

607) ცთომილ ნერვს კისრის მონაკვეთში არ გამოეყოფა:

- ა) rr. pharyngei
- ბ) rr. cardiaci cervicales superiores
- გ) n. laryngeus superior
- *დ) rr. Bronchiales

608) მარცხენა ცთომილი ნერვი არ გვადლევს:

- ა) წინა ცთომილ ღეროს
- *ბ) უკანა ცთომილ ღეროს
- გ) ღვიძლის ტოტებს
- დ) კუჭის ტოტებს

609) რომელი კუნთის ინერვაციაში მონაწილეობს დამატებითი ნერვი?

- ა) დიდი რომბისებრი
- *ბ) მკერდ-ლავიწ-დვრილისებრი
- გ) ბეჭის ამწევი
- დ) დიდი მრგვალი

610) რომელი კუნთის ინერვაციაში მონაწილეობს დამატებითი ნერვი?

- ა) მკერდ-ფარისებრი
- *ბ) ტრაპეციული
- გ) დელტისებრი
- დ) მცირე რომბისებრი

611) პარასიმპათიკური ინერვაცია არ გააჩნია:

- ა) გულს
- *ბ) საოფლე ჯირკვლებს
- გ) კორონარებს
- დ) სფინქტერებს

612) რომელი ვეგეტატიური კვანძები ქმნიან სიმპათიკურ წველს?

- *ა) პარავერტებრული
- ბ) პრევერტებრული
- გ) ექსტრაორგანული
- დ) ინტრაორგანული

613) ზესეგმენტური ვეგეტატიური ცენტროები არ მდებარეობს:

- ა) ნათხემში
- ბ) ღეროს რეტიკულურ ფორმაციაში
- გ) შუამდებარე ტვინში
- *დ) ზურგის ტვინში

614) კისრის ზედა სიმპათიკურ კვანძს არ გამოეყოფა:

- ა) n. caroticus internus
- ბ) n. caroticus externus
- გ) n. cardiacus cervicalis superior
- *დ) n. caroticus communis

615) კისრის შუა სიმპათიკურ კვანძს არ გამოეყოფა:

- ა) ტოტები ქვედა ფარისებრი წნულისთვის
- ბ) ტოტები მხრის წნულისთვის
- *გ) ტოტები ფრთისებრი წნულისთვის
- დ) გულის შუა კისრისეული ნერვი

616) კისრის ქვედა სიმპათიკურ კვანძს არ გამოეყოფა:

- ა) ტოტები დიაფრაგმის ნერვისთვის
- ბ) ტოტები ხერხემლის არტერიისთვის
- *გ) ტოტები საერთო საძილე წნულისთვის
- დ) გულის ქვემო კისრისეული ნერვი

617) გულმკერდის ვეგეტატიურ წნულებს არ მიეკუთვნება:

- ა) pl. cardiacus profundus
- ბ) pl. pulmonalis
- *გ) pl. vertebralis
- დ) pl. aorticus

618) ფაშვის წნულის ბოჭკოებით იქმნება ყველა ჩამოთვლილი ნერვული წნული, გარდა ერთისა:

- ა) pl. pancreaticus
- ბ) pl. suprarenalis
- *გ) pl. renalis
- დ) pl. phrenicus

619) მუცლის ვეგეტატიურ წნულებს არ მიეკუთვნება:

- ა) pl. mesentericus superior
- ბ) pl. hypogastricus superior
- გ) pl. aorticus abdominalis
- *დ) pl. caroticus communis

620) რომელი მეორადი წნული არ იქმნება ქვედა ჰიპოგასტრული წნულის ბოჭკოებით?

- *ა) pl. rectalis superior
- ბ) pl. rectalis inferior
- გ) pl. vesicalis
- დ) pl. prostaticus

621) მსხვილი ნაწლავის რომელ მონაკვეთს არ ანერვებს ცთომილი ნერვი?

- ა) ბრმა ნაწლავს
- ბ) ასწვრივ კოლინჯს
- *გ) დასწვრივ კოლინჯს

დ) განივ კოლინჯს

622) ხორხის რომელ კუნთს არ ანერვებს n.laryngeus inferior?

- ა) m. aryepiglotticus
- ბ) m. thyroepiglotticus
- *გ) m. cricothyroideus
- დ) m. cricoarytenoideus

623) მამაკაცის სასქესო ორგანოების ინერვაციაში არ მონაწილეობს:

- ა) pl. prostaticus
- *ბ) pl. umbilicalis
- გ) pl. deferentialis
- დ) nn. cavernosi penis

624) რომელი ტრაქტი არის პასუხისმგებელი ტკივილის იმპულსების გატარებაზე?

- * ა) tractus spinothalamicus lateralis
- ბ) tractus spinothalamicus anterior
- გ) tractus spinocerebellaris posterior
- დ) tractus spinocerebellaris anterior

625) რომელი ტრაქტი ატარებს თერმული გაღიზიანების იმპულსებს?

- *ა) tractus spinothalamicus lateralis
- ბ) tractus spinothalamicus anterior
- გ) tractus vestibulospinalis
- დ) tractus spinocerebellaris posterior

626) რომელია შეხებისა და ზეწოლის შეგრძნების გამტარებელი გზა?

- ა) tractus spinothalamicus lateralis
- *ბ) tractus spinothalamicus anterior
- გ) tractus vestibulospinalis
- დ) tractus spinocerebellaris posterior

627) რამდენ ნეირონია აფერენტული გზების უმეტესობა?

- ა) 1
- ბ) 2
- *გ) 3
- დ) 4

628) ზურგის ტვინის გვერდით ლარებში გვხვდება:

- *ა) თერმული გაღიზიანების გამტარებელი გზა
- ბ) სტერეოგნოზიის გზა
- გ) შეხების შეგრძნების გამტარებელი გზა
- დ) ქერქ-ზურგის ტვინის ვენტრალური გზა

629) რაზეა პასუხისმგებელი tractus gangliobulbothalamocorticalis?

- ა) ექსტეროცეპრულ მგრძნობელობაზე
- ბ) ინტეროცეპტულ მგრძნობელობაზე
- *გ) პროპრიოცეპტულ მგრძნობელობაზე
- დ) სტერეოგნოზულ მგრძნობელობაზე

630) რამდენჯერ გადაჯვარედინდება ზურგის ტვინ-ნათხემის წინა (ჰოვერსის) გზა?

- ა) ერთხელ
- *ბ) ორჯერ
- გ) სამჯერ
- დ) ოთხჯერ

631) შიგნითა კაფსულის რომელ ნაწილში გაივლის tractus corticonuclearis?

- ა) წინა ფეხში
- ბ) უკანა ფეხში
- *გ) მუხლში
- დ) კუდში

632) რომელი კრანიალი ნერვის ბირთვებში არ მთავრდება ქერქ-ბირთვული გზის ბოჭკოები?

- ა) III
- ბ) VI
- *გ) VIII
- დ) X

633) ქერქ-ბირთვული გზის პირამიდული უჯრედები განლაგებულნი არიან:

- ა) უკანა ცენტრალურ ხვეულში
- *ბ) წინა ცენტრალურ ხვეულში
- გ) შუბლის ქვედა ხვეულში
- დ) საფეთქლის ზედა ხვეულში

634) ქერქ-ზურგის ტვინის გზები გაივლიან:

- ა) შიგნითა კაფსულის უკანა ფეხის უკანა მესამედში
- ბ) შიგნითა კაფსულის წინა მუხის წინა მესამედში
- გ) შიგნითა კაფსულის წინა ფეხის უკანა 2/3-ში
- *დ) შიგნითა კაფსულის უკანა ფეხის წინა 2/3-ში

635) პირამიდულ ჯვარედინს ქმნის:

- ა) სახურავ-ზურგის ტვინის გზა
- ბ) ქერქ-ზურგის ტვინის წინა გზა
- *გ) ქერქ-ზურგის ტვინის გვერდითი გზა
- დ) ქერქ-ბირთვული პირამიდული გზა

636) პირამიდულ გზებს არ მიეკუთვნება:

- ა) tractus corticonuclearis
- ბ) tractus corticospinalis anterior
- *გ) tractus rubrospinalis
- დ) tractus corticospinalis lateralis

637) ექსტრაპირამიდულ გზებს არ მიეკუთვნება:

- ა) tractus rubrospinalis
- ბ) tractus tectospinalis
- გ) tractus reticulospinalis
- *დ) tractus corticospinalis

638) რომელი ეფერენტული გზა ქმნის ფორელის ჯვარედინს?

- *ა) tractus rubrospinalis
- ბ) tractus tectospinalis
- გ) tractus vestibulospinalis
- დ) tractus corticospinalis